# შპს მაგთი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
და
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება

bakertilly

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა........................................................................3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება........................................................................8

სრული შემოსავლის ანგარიშგება........................................................................9

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება........................................................................10

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება........................................................................11

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები........................................................................12

1. კომპანია და მისი საქმიანობა........................................................................12
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა........................................................................12
3. ძირითადი საშუალებები........................................................................17
4. საინვესტიციო ქონება........................................................................18
5. არამატერიალური აქტივები........................................................................18
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები........................................................................19
7. გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები........................................................................19
8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები........................................................................19
9. მიმდინარე ნასესხები საშუალებები........................................................................19
10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება........................................................................19
11. ანარიცხები........................................................................19
12. შემოსავლები........................................................................20
13. ფინანსური ხარჯი........................................................................20
14. სხვა მოგება (ნეტო)........................................................................20
15. ფინანსური ინსტრუმენტები........................................................................20
16. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები........................................................................20
17. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან........................................................................21
18. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები........................................................................21

მმართველობითი ანგარიში........................................................................24

1. კომპანია და მისი დამფუძნებლები........................................................................24
2. შემოსავლები........................................................................24
3. ძირითადი საწარმოო სიმძლავრეები........................................................................24
4. საქმიანობის განვითარების გეგმები........................................................................24
5. დასაქმებულთა რაოდენობა........................................................................24
6. გარემოს დაცვის საკითხებზე თუ რამე ტიპის ზეგავლენას ახდენს კომპანია და ჩატარებული აქვს რამე სახის კვლევა........................................................................24
7. ფინანსური რისკების გარდა კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავი ანალიზი........................................................................24
8. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ........................................................................24
9. რისკების მართვა........................................................................24
10. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია........................................................................24
11. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა........................................................................25
12. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა-განმარტებები........................................................................25

BC Menteshev Rows
7 Bambis Rigi Street
Tbilisi 0105, Georgia

**T:** +955 322 438 999

office@bakertilly.ge
**www.bakertilly.ge**

# დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

## დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ვის: შპს მაგთის დამფუძნებლებს

**პირობითი მოსაზრება**

ჩავატარეთ შპს მაგთის (შემდგომში, ტექსტში, კომპანიის) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლისა, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებათაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი"- აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში, ტექსტში, მსს ფასს) შესაბამისად.

**პირობითი მოსაზრების საფუძველი** *(ქვემოთ თანხები მოცემულია ათას ლარებში თუ სხვაგვარად არ იქნა მინიშნებული)*

**კომპანიის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის ისტორიული ღირებულება, სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული მომწოდებლებთან რიცხული ნაშთები**

კომპანია ფლობს ქ.თბილისი, გუდიაშვილის ქუჩა #18 მისამართზე არსებულ მიწას და შენობა-ნაგებობას. ამ შენობის ეკონომიურ საქმიანობაში გამოყენება დაიწყო 2018 წლის 28 თებერვალს. ეკონომიურ საქმიანობაში გამოყენების მომენტისათვის დაუსრულებელი მშენებლობა ასახული იყო, როგორც ძირითადი საშუალება დაუმთავრებელი მშენებლობის ჯგუფში. 2018 წლის 28 თებერვლის შემდეგ, შენობა-ნაგებობის ფაქტიური და დაგეგმილი გამოყენების შესაბამისად დაუმთავრებელი მშენებლობა დაიყო როგორც სასაქონლო მატერიალური მარაგები და როგორც ძირითადი საშუალებები. სასაქონლო მატერიალურ მარაგებში აისახა საცხოვრებელ სახლებად გასაყიდად გამიზნული ფართების ისტორიული ღირებულება. კომპანიას აქვს გარკვეული შეუთანხმებლობები თავის ძირითად სამშენებლო სამუშაოების მომწოდებლებთან, რის გამოც მათზე რიცხულ ავანსებზე არ გაფორმებულა შესაბამისი მომსახურების აქცეპტირების (მიღება-ჩაბარების) დოკუმენტები. კომპანიის მენეჯმენტმა, შენობა-ნაგებობის ისტორიული ღირებულების ფორმირების მიზნით, დააკაპიტალიზირა ამ მომწოდებლებზე რიცხული ავანსები შენობის ისტორიული ღირებულების სახით. კომპანიის ბალანსზე ამ მომოწდებლებზე რიცხული ავანსების თანხები დაკაპიტალიზირების მომენტში, შეადგენდა 282 და 7,110 2019 წლის 31 დეკემბერისათვის და 2018 წლის 31 დეკემბერისათვის შესაბამისად. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ პასუხები ამ მომწოდებლებზე გაგზავნილ დადასტურების წერილებზე, ჩვენთვის შეუძლებელი იყო ამ მომწოდებლებზე რიცხული ავანსების და ავანსების ფარგლებში შენობა-ნაგებობად კაპიტალიზირებული თანხების დადასტურება ან მათი სისრულის შემოწმება სხვა ალტერნატიული პროცედურებით. ამასთანავე, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ პასუხები სავაჭრო კრედიტორულ დავალიანებაში გაერთიანებული ძირითადი საშუალებების მშენებლობისა და შეძენის ფარგლებში



ADVISORY · ASSURANCE · TAX

Baker Tilly Georgia Ltd. trading as bakertilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

მომწოდებელთან გაგზავნილ დადასტურების წერილებზე, რომლებიც ბალანსში ასახული იყო 160 და 214 2019 წლის 31 დეკემბერისათვის და 2018 წლის 31 დეკემბერისათვის შესაბამისად, ჩვენთვის შეუძლებელი იყო ამ თანხების დადასტურება სხვა ალტერნატიული პროცედურებით. ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რამე კორექტირებების შეტანა ფინანსური ანგარიშგების ამ ელემენტებში (შენობა-ნაგებობის, სასაქონლო მატერიალური მარაგების, გრძელვადიანი ავანსების და სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებაში), აგრეთვე, სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში.

**სამუზეუმო სივრცის გაუფასურების ტესტირების შეუძლებლობა**

კომპანიის საკუთრებაში, გუდიაშვილის ქუჩა #18 მისამართზე, არსებული შენობა-ნაგებობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი წარმოადგენს სამუზეუმო ფართს, რომლის ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებების სახით წარდგენილი მონაცემების დეტალები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

| | სამუზეუმო სივრცე ნარჩენი ღირებულება |
|---|---:|
| | |
| ისტორიული ღირებულება 31.12.2018 | 41,846 |
| ისტორიული ღირებულება 31.12.2019 | 42,063 |
| აკუმულირებული ცვეთა 31.12.2018 | 702 |
| აკუმულირებული ცვეთა 31.12.2019 | 1,538 |
| | |
| ნარჩენი ღირებულება 31.12.2017 | - |
| ნარჩენი ღირებულება 31.12.2018 | 41,144 |
| ნარჩენი ღირებულება 31.12.2019 | 40,525 |

ამ ფართის მუზეუმის სახით ოპერირების შემოსავლები 415 და 107 2019 წლის 31 დეკემბრისათვის და 2018 წლის 31 დეკემბრისათვის, შესაბამისად. შემოსავლების ეს დონე და მენეჯმენტის საპროგნოზო მომავალი შემოსავლები არ იქნება საკმარისი ფართის წარდგენილი ნარჩენი ღირებულების ამოღებისთვის. ფართის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტმა ვერ შეძლო საკუთარი ძალებით ან მოწვეული საშემფასებლო კომპანიის მეშვეობით ფართის გაყიდვის ხარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გაანგარიშება, შესაბამისად, ვერ მოახდინა მსს ფასს შესაბამისად ფართის ამ ნაწილის გაუფასურების ტესტის ჩატარება მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ფართის, როგორც აქტივის გაუფასურების ინდიკატორები. საკითხის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით გაუფასურების ფაქტის დადასტურება ან უარყოფა და, გაუფასურების არსებობის შემთხვევაში, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რამე კორექტირებების შეტანა სამუზეუმო ფართის ამსახველ ძირითადი საშუალების წარდგენილ მონაცემებში, აგრეთვე, სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში.

**ძირითადი საშუალებების - ავეჯის და სხვა ინვენტარის აღრიცხვა და ძირითადი საშუალებების მომწოდებლებზე რიცხული ავანსები**

კომპანიას საკუთრებაში გააჩნია ავეჯი და სხვა სახის ინვენტარი, რომელიც ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებების „ავეჯი და ინვენტარი" ჯგუფში. კომპანია ახლა ძირითადი საშუალებების აღრიცხვის მოდულის დანერგვის ეტაპზეა, რის გამოც ვერ აწარმოებს ამ აქტივების განცალკევებულ აღრიცხვას. არ არის ნაწარმოები სრული სახით ერთიანი ძირითადი საშუალებების სააღრიცხვო რეესტრები, რომლებიც უნდა შეიცავდეს საკუთრებაში არსებული ყველა აქტივის შესახებ განცალკევებულ ინფორმაციას: შეძენის თარიღს, ისტორიულ ღირებულებას, ცვეთას და ცხოვრების ხანგრძლივობას, ადგილმდებარეობას და სხვა დეტალებს. ჯგუფში გაერთიანებული ცალკეული აქტივების ისტორიული ღირებულება და, შესაბამისად, მათზე ასახული ცვეთა ნაწარმოებია ავეჯის და ინვენტარის ჯამურ ღირებულებებზე ერთიანი სასიცოცხლო ვადის გამოყენებით. ჩვენ შევძელით ზემოთ მოცემული აქტივების ჯამური ისტორიული ღირებულის დადასტურება. ვერ მოვახერხეთ ამ აქტივების არსებობის



ADVISORY · ASSURANCE · TAX

Baker Tilly Georgia Ltd. trading as bakertilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

დადასტურების პროცედურების ჩატარება. ამასთანავე, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ პასუხები ამ ძირითადი საშუალებების მომწოდებლებზე გაგზავნილ დადასტურების წერილებზე, ჩვენთვის შეუძლებელი იყო ამ მომწოდებლებზე გრძელვადიან აქტივებში რიცხული ავანსების (1,761 და 1,653, 2019 წლის 31 დეკემბრისათვის და 2018 წლის 31 დეკემბრისათვის, შესაბამისად) დადასტურება ან მათი სისრულის შემოწმება სხვა ალტერნატიული პროცედურებით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რამე კორექტირების შეტანა ამ ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულების, ცვეთის, აგრეთვე, სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ((შემდომში, ტექსტში, ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა რომ, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

**ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა**

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების 2.17-ე შენიშვნის - **საწარმოს უწყვეტობის პრინციპი -** ნაწილზე, რომელიც ასახავს რომ: „2019 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის მიერ მიღებულმა აკუმულირებულმა ზარალმა და ამ თარიღით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის ზარალმა ოპერირებიდან სხვა მოგების და ფინანსური მოგების გათვალისწინების გარეშე შეადგინა 78,299 და 3,683 შესაბამისად. კომპანიის მომავალი ფუნქციონირება სრულად დამოკიდებულია დამფუძნებლის მხრიდან დაფინანსებაზე, რაც გასულ პერიოდში უზრუნველყოფილი იყო სესხისა და კაპიტალური კონტრიბუციის სახით. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ, კომპანიის დამფუძნებელი მომავალშიც გააგრძელებს კომპანიის დაფინანსებას, რითაც შესაძლებელი იქნება მომავალში კომპანიის მომგებიანი ოპერირების დაწყება. ამ პირობების გათვალისწინებით, მენეჯმენტი თვლის, რომ „ფუნქციონირების უწყვეტობის" დაშვება მართებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას." ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებაში.

**სხვა ინფორმაცია**

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მიერ 2020 წლის 21 დეკემბრით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 22 გვერდის შემდეგ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას და, გარდა, ქვემოთ, - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები" - ნაწილში გაცემული დასკვნისა, არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა, ქვემოთ, -„დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები" - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემო აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. „პირობითი მოსაზრების საფუძველი" ნაწილში ასახული შეზღუდვის გამო, ჩვენ ვერ შევძლებით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას ამ მიმართებით, გარდა ამისა, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც



ADVISORY · ASSURANCE · TAX

Baker Tilly Georgia Ltd. trading as bakertilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

**ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა  ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების  აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ  აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რამე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი



ADVISORY · ASSURANCE · TAX

Baker Tilly Georgia Ltd. trading as bakertilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და, ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

## დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომში, ტექსტში, კანონი) კომპანია პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2020 წლის 21 დეკემბრით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 22-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი”- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)
მმართველი პარტნიორი
შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია
2020 წლის 21 დეკემბერი თბილისი, საქართველო



ADVISORY · ASSURANCE · TAX

Baker Tilly Georgia Ltd. trading as bakertilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და, ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

## დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომში, ტექსტში, კანონი) კომპანია პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2020 წლის 21 დეკემბრით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 22-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი"- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)
მმართველი პარტნიორი
შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია
2020 წლის 21 დეკემბერი თბილისი, საქართველო



ADVISORY · ASSURANCE · TAX

Baker Tilly Georgia Ltd. trading as bakertilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| | შენიშვნა | 31.12.2019 | 31.12.2018 |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| გრძელვადიანი აქტივები | | | |
| ძირითადი საშუალებები | 3 | 72,728 | 74,103 |
| საინვესტიციო ქონება | 4 | 5,283 | 5,376 |
| არამატერილური აქტივები | 5 | 9 | 18 |
| გადახდილი ავანსები ძირითადი საშუალებების შეძენისათვის | | 1,761 | 1,653 |
| *სულ გრძელვადიანი აქტივები* | | **79,781** | **81,150** |
| მოკლევადიანი აქტივები | | | |
| სასაქონლო მატერიალური ფასეულობები | 6 | 18,345 | 18,096 |
| სავაჭრო დებიტორული დავალიანება | | 59 | 24 |
| გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები | 7 | 6,704 | 6,535 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 8 | 2,438 | 2,291 |
| *სულ მოკლევადიანი აქტივები* | | **27,546** | **26,946** |
| სულ აქტივები | | **107,327** | **108,096** |
| საკუთარი კაპიტალი | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | 879 | 879 |
| დაუფარავი ზარალი | | (78,299) | (192,758) |
| *სულ საკუთარი კაპიტალი* | | **(77,420)** | **(191,879)** |
| მოკლევადიანი ვალდებულებები | | | |
| მიმდინარე ნასესხები საშუალებები | 9 | 182,028 | 299,511 |
| ანარიცხები | 11 | 2,246 | - |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 10 | 473 | 464 |
| *სულ მოკლევადიანი ვალდებულებები* | | **184,747** | **299,975** |
| სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი | | **107,327** | **108,096** |

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2020 წლის 21 დეკემბერს

ბნ. კახაბერ ვეფხვაძე, გენერალური დირექტორი

ბნ. მირიან ჭელელიძე, ფინანსური მენეჯერი



ADVISORY · ASSURANCE · TAX

Baker Tilly Georgia Ltd. trading as bakertilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

შპს"მაგთი"
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

## ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| | შენიშვნა | 31.12.2019 | 31.12.2018 |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| გრძელვადიანი აქტივები | | | |
| ძირითადი საშუალებები | 3 | 72,728 | 74,103 |
| საინვესტიციო ქონება | 4 | 5,283 | 5,376 |
| არამატერილური აქტივები | 5 | 9 | 18 |
| გადახდილი ავანსები ძირითადი საშუალებების შეძენისათვის | | 1,761 | 1,653 |
| *სულ გრძელვადიანი აქტივები* | | **79,781** | **81,150** |
| მოკლევადიანი აქტივები | | | |
| სასაქონლო მატერიალური ფასეულობები | 6 | 18,345 | 18,096 |
| სავაჭრო დებიტორული დავალიანება | | 59 | 24 |
| გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები | 7 | 6,704 | 6,535 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 8 | 2,438 | 2,291 |
| *სულ მოკლევადიანი აქტივები* | | **27,546** | **26,946** |
| სულ აქტივები | | **107,327** | **108,096** |
| საკუთარი კაპიტალი | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | 879 | 879 |
| დაუფარავი ზარალი | | (78,299) | (192,758) |
| *სულ საკუთარი კაპიტალი* | | **(77,420)** | **(191,879)** |
| მოკლევადიანი ვალდებულებები | | | |
| მიმდინარე ნასესხები საშუალებები | 9 | 182,028 | 299,511 |
| ანარიცხები | 11 | 2,246 | - |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება | 10 | 473 | 464 |
| *სულ მოკლევადიანი ვალდებულებები* | | **184,747** | **299,975** |
| სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი | | **107,327** | **108,096** |

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2020 წლის 21 დეკემბერს

ბნ. კახაბერ ვეფხვაძე, გენერალური დირექტორი

ბნ. მირიან ჭელელიძე, ფინანსური მენეჯერი

საქართველო შ.პ.ს. «მაგთი» MAGTI 204873645 REPUBLIC OF GEORGIA

## სრული შემოსავლის ანგარიშგება

| | შენიშვნა | 31.12.2019 დასრულებული წლისათვის | 31.12.2018 დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|---|
| შემოსავალი რეალიზაციიდან | **12** | 3,229 | 2,400 |
| შრომის ანაზღაურება | | (2,163) | (1,947) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | | (1,534) | (1,315) |
| სასაქონლო მარაგების ხარჯები | | (934) | (864) |
| საგადასახადო ხარჯი | | (924) | (2,386) |
| კომუნალური ხარჯი | | (643) | (557) |
| რეკლამის და მარკეტინგის ხარჯი | | (34) | (29) |
| მუზეუმის გახსნის ღონისძიების ხარჯი | | (1) | (1,053) |
| იჯარის ხარჯი | | - | (30) |
| სხვა ხარჯი | | (679) | (395) |
| სხვა მოგება/ზარალი | **14** | 199 | 375 |
| ფინანსური მოგება/(ხარჯი) (ნეტო) | **13** | 117,943 | (33,831) |
| **მიმდინარე წლის მოგება/ზარალი** | | **114,459** | **(39,632)** |

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2020 წლის 21 დეკემბერს

ბნ. კახაბერ ვეფხვაძე, გენერალური დირექტორი

ბნ. მირიან ჭეღელიძე, ფინანსური მენეჯერი



ADVISORY · ASSURANCE · TAX

Baker Tilly Georgia Ltd. trading as bakertilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

## სრული შემოსავლის ანგარიშგება

| | შენიშვნა | 31.12.2019 დასრულებული წლისათვის | 31.12.2018 დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|---|
| შემოსავალი რეალიზაციიდან | 12 | 3,229 | 2,400 |
| შრომის ანაზღაურება | | (2,163) | (1,947) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | | (1,534) | (1,315) |
| სასაქონლო მარაგების ხარჯები | | (934) | (864) |
| საგადასახადო ხარჯი | | (924) | (2,386) |
| კომუნალური ხარჯი | | (643) | (557) |
| რეკლამის და მარკეტინგის ხარჯი | | (34) | (29) |
| მუზეუმის გახსნის ღონისძიების ხარჯი | | (1) | (1,053) |
| იჯარის ხარჯი | | - | (30) |
| სხვა ხარჯი | | (679) | (395) |
| სხვა მოგება/ზარალი | 14 | 199 | 375 |
| ფინანსური მოგება/(ხარჯი) (ნეტო) | 13 | 117,943 | (33,831) |
| **მიმდინარე წლის მოგება/ზარალი** | | **114,459** | **(39,632)** |

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2020 წლის 21 დეკემბერს

ბნ. კახაბერ ვეფხვაძე, გენერალური დირექტორი

ბნ. მირიან ჭეღელიძე, ფინანსური მენეჯერი



ADVISORY · ASSURANCE · TAX

Baker Tilly Georgia Ltd. trading as bakertilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

## ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

| | 31.12.2019 დასრულებული წლისათვის | 31.12.2018 დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|
| **ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან** | | |
| მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები | 4,190 | 3,116 |
| მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები | (4,019) | (4,622) |
| **საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები** | **171** | **(1,506)** |
| მიღებული პროცენტი | 12 | - |
| **საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები** | **183** | **(1,506)** |
| **ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან** | | |
| ძირითადი საშუალებების შეძენა/მშენებლობა | (496) | (1,872) |
| არამატერიალური აქტივების შეძენა | - | (11) |
| **საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები** | **(496)** | **(1,883)** |
| **ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან** | | |
| სესხის სახით მიღებული თანხები | 318 | 3,170 |
| **საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები** | **318** | **3,170** |
| **ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)** | **5** | **(219)** |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში | 2,291 | 2,457 |
| უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე | 142 | 53 |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს** | **2,438** | **2,291** |

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2020 წლის 21 დეკემბერს

ბნ. კახაბერ ვეფხვაძე, გენერალური დირექტორი

ბნ. მირიან ჭელელიძე, ფინანსური მენეჯერი



ADVISORY · ASSURANCE · TAX

Baker Tilly Georgia Ltd. trading as bakertilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

## ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

| | 31.12.2019 დასრულებული წლისათვის | 31.12.2018 დასრულებული წლისათვის |
|---|---|---|
| **ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან** | | |
| მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები | 4,190 | 3,116 |
| მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები | (4,019) | (4,622) |
| **საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები** | **171** | **(1,506)** |
| მიღებული პროცენტი | 12 | - |
| **საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები** | **183** | **(1,506)** |
| **ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან** | | |
| ძირითადი საშუალებების შეძენა/მშენებლობა | (496) | (1,872) |
| არამატერიალური აქტივების შეძენა | - | (11) |
| **საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები** | **(496)** | **(1,883)** |
| **ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან** | | |
| სესხის სახით მიღებული თანხები | 318 | 3,170 |
| **საფინანსო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები** | **318** | **3,170** |
| **ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)** | **5** | **(219)** |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში | 2,291 | 2,457 |
| უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე | 142 | 53 |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს** | **2,438** | **2,291** |

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2020 წლის 21 დეკემბერს

ბნ. კახაბერ ვეფხვაძე, გენერალური დირექტორი

ბნ. მირიან ჭელელიძე, ფინანსური მენეჯერი

საქართველო შ.პ.ს. »მაგთი« MAGTI 204873645 REPUBLIC OF GEORGIA



ADVISORY · ASSURANCE · TAX

Baker Tilly Georgia Ltd. trading as bakertilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

## საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

| | საწესდებო კაპიტალი | დაუფარავი ზარალი | სულ |
|---|---|---|---|
| **ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს** | **879** | **(153,126)** | **(152,247)** |
| 2018 წლის სრული ზარალი | - | (39,632) | (39,632) |
| **ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს** | **879** | **(192,758)** | **(191,879)** |
| 2019 წლის სრული მოგება | - | 114,459 | 114,459 |
| **ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს** | **879** | **(78,299)** | **(77,420)** |

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2020 წლის 21 დეკემბერს

ბნ. კახაბერ ვეფხვაძე, გენერალური დირექტორი

ბნ. მირიან ჭეღელიძე, ფინანსური მენეჯერი

## საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

| | საწესდებო კაპიტალი | დაუფარავი ზარალი | სულ |
|---|---|---|---|
| **ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს** | **879** | **(153,126)** | **(152,247)** |
| 2018 წლის სრული ზარალი | - | (39,632) | (39,632) |
| **ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს** | **879** | **(192,758)** | **(191,879)** |
| 2019 წლის სრული მოგება | - | 114,459 | 114,459 |
| **ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს** | **879** | **(78,299)** | **(77,420)** |

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2020 წლის 21 დეკემბერს

ბნ. კახაბერ ვეფხვაძე, გენერალური დირექტორი

ბნ. მირიან ჭეღელიძე, ფინანსური მენეჯერი

## ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

### 1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „მაგთი" (კომპანია) დაარსდა 1995 წლის 27 ივნისს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, (საიდენტიფიკაციო კოდი: 204873645). კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: სამუზეუმო, სარესტორნო და სპორტულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობა. კომპანიის ბალანსზე ირიცხება 2 შენობა-ნაგებობა, რუსთაველის გამზრი,გუდიაშვილის ქ#18-ში და აღმაშენებლის გამზ. #152-ში. აქედან გუდიაშვილის #18-ში მდებარე შენობაშია განთავსებული მუზეუმი, საკონფერენციო ოთახი, რესტორნები და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, ხოლო აღმაშენებლის გამზ. #152-ში მდებარე შენობაში არსებული ფართის ნაწილი იჯარით აქვს გადაცემული შპს ნეოსტუდიაზე.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, დ.აღმაშენებლის გამზირი,№152 .

2019 წლის 1 იანვრისათვის და 31 დეკემბრისათვის კომპანიის წილის ერთადერთ მფლობელს წარმოადგენს: ბატონი გია ჯოხთაბერიძე (პირადი ნომერი: 01008003521).

### 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

#### *2.1 მომზადების საფუძველი*

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპისა და ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ქვემოთ არის წარმოდგენილი ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა,რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანაგრიშგების მოსამზადებლად. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ.

#### *2.2 შემოსავალის აღიარება*

გაყიდული მომსახურების აღიარება ხდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს და ფასდათმობის გარეშე.

#### *2.3 წარდგენის ვალუტა*

ჯგუფის თითოეული წევრის ერთეულის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა ("ქართული ლარი").

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ბანკთაშორისი ოპერაციების შედეგად, აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში იყო შემდეგი:

| | აშშ დოლარი | ევრო |
|---|---|---|
| 2018 წლის 31 დეკემბერს | 2.6766 | 3.0701 |
| 2019 წლის 31 დეკემბერს | 2.8677 | 3.2095 |

#### *2.4 ძირითადი საშუალებები*

ძირითადი საშუალებები წარდგენილია დაგროვილი ცვეთისა ან გაუფასურების ღირებულებით შემცირებული ისტორიული თვითღირებულებით და 2016 წლამდე შეძენილი აქტივების შემთხვევაში ჩათვლილი ღირებულებით („დასაშვები საწყისი"). თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი

აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე ჯგუფის პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

| | სასარგებლო მომსახურების ვადა |
|---|---|
| მიწა და შენობა-ნაგებობები | 50 |
| მანქანა-დანადგარები | 5-10 |
| სატრანსპორტო საშუალებები | 7 |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი | 5 |

### *2.5 ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით აღრიცხული საინვესტიციო ქონების გამოყენება*

საინვესტიციო ქონებად ასახულია ის უძრავი ქონება, რომელიც გამოყენებულია საიჯარო შემოსავლების გენერირებისათვის ან ღირებულების ზრდის, ან ორივე მიზნით. კომპანიის საინვესტიციო ქონება ასახულია ისტორიული თვითღირებულების მეთოდით. მსს ფასს შესაბამისად ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით ასახული საინვესტიციო ქონების აღრიცხვისათვის გამოყენებულია იგივე საბუღალტრო პოლიტიკა და შეფასების მეთოდები, რაც გამოყენებულია ძირითად საშუალებებში ასახული უძრავი ქონების შემთხვევაში.

### *2.6 არამატერიალური აქტივები*

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 3 წლის გაანგარიშებით.

### *2.7 არამონეტარული აქტივების გაუფასურება*

ის არამონეტარული აქტივები, რომელთაც არ აქვს განსაზღვრული ცხოვრების ხანგრძლივობა და, ასევე, ის აქტივები, რომლებიც არიან მზად გამოყენებისათვის, არ ერიცხება ცვეთა ან ამორტიზაცია, ისინი ექვემდებარებიან გაუფასურების ყოვეწლიურ ტესტირებას. ეს აქტივები, რომლებიც ექვემდებარებიან ცვეთას და ამორტიზაციას, ექვემდებარებიან გაუფასურებაზე ტესტირებას მაშინ, როდესაც გარკვეული მოვლენა ან ნებისმიერი პირობის ცვლილება მიუნიშნებს, რომ შესაძლებელია მისი საბალანსო ღირებულება ვერ იქნას ამოღებული. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ სხვაობის ოდენობით, რაც არსებობს შეფასებულ ამოღებად თანხასა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის. ამოღებადი თანხა წარმოადგენს უდიდეს თანხას გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები ჯგუფდება უმცირესი ჯგუფის დონეზე, რომლის დონეზეც იდენტიფიცირდება განცალკევებული ფულადი ნაკადები. ყოველ საანგარიშო პერიოდზე გაუფასურებული არაფინანსური აქტივები, გარდა გუდვილისა, მიმოიხილება გაუფასურების შებრუნების გაუქმების მიზნით.

### *2.8 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები*

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

### *2.9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები*

მომსახურების გაწევით და საქონლის მიწოდების შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. იმ შემთვევში თუ მათი ამოღებადობა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში,მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან მოთხოვნებად შესაბამისად.

### *2.10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები*

მომსახურების ან საქონლის შესყიდვის შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა დავალიანებები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. იმ შემთვევში თუ მათი გადახდა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში, მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად შესაბამისად.

### *2.11 სესხები*

სესხები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ოპერაციის ხარჯების განეტების საშუალებით. აღიარების შემდგომ ისინი წარდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით. ნებისმიერი სხვაობა ნაკადებსა და დაფარვის ღირებულებას შორის აღიარდება სესხის მთელი პერიოდის განმავლობაში მოგება ზარალის პერიოდში.

### *2.12 საოპერაციო იჯარა*

საოპერაციო იჯარად განიხილება იჯარა, რომლის შემთხვევაშიც აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიური სარგებელის გადაცემა არ ხდება მოიჯარეზე. საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადახდილი სახდელები აისახება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით იჯარის მთელი პერიოდის მიხედვით. ფინანსური იჯარის შემთხვევაში აქტივების კაპიტალიზაცია ხდება მოიჯარესთან, აქტივების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალურ საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების უმცირესი თანხით.

### *2.13 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები*

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

### *2.14 მოგების გადასახადი*

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომლის აღიარება ხდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში, რადგან იგი უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარდება იმავე, ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი, ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის, ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი იქმნება ბალანსის მომზადების ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალის და აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის წარმოქმნილი დროებითი სხვაობის მიმართ ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარებისაგან გათავისუფლების მიხედვით გადავადებული გადასახადები არ აისახება გარიგების დროს აქტივის ან ვალდებულების პირველადი აღიარების დროს დროებითი სხვაობის შემთხვევაში გარდა იმ გარიგებისა, როდესაც ადგილი აქვს საწარმოთა გაერთიანებას და როდესაც ეს გარიგება, მისი თავდაპირველი ასახვის დროს, გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო და არც საგადასახადო მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ნაშთების შეფასება ხდება მოქმედი, ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს არსებითად მოქმედი საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომელთა გამოყენებაც მოითხოვება იმ

პერიოდის მიმართ, როდესაც დროებითი სხვაობა ამოიწურება, ან გამოყენებულ იქნება მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალი. გადავადებული საგადასახადო აქტივები გამოსაქვითი დროებითი სხვაობისა და მომავალ პერიოდში გადატანილი საგადასახადო ზარალისათვის აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ მომავალში საგადასახადო მოგება საკმარისი იქნება გამოქვითვების განსახორციელებლად.

ჯგუფის გაურკვეველი საგადასახადო სტატუსის ხელახალი შეფასება ხდება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ყოველი საანგარიშგებო თარიღის დასასრულს. ვალდებულებები აისახება საგადასახადო მუხლებში, რომელთაც განსაზღვრავს ჯგუფი იმის მიხედვით, თუ სავარაუდოდ რომელ მათგანზე იქნება საჭირო დამატებითი გადასახადების გადახდა, თუ ამ მუხლებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ საგადასახადო ორგანოები. ჯგუფის შეფასება ეფუძნება მოქმედი, ან საანგარიშგებო თარიღის დასრულებისათვის არსებითად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას და სასამართლოს, ან სხვა ნებისმიერ ცნობილ გადაწყვეტილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმების, საპროცენტო გადასახდელებისა და მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადების ვალდებულებების აღიარება ეფუძნება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ დანახარჯების საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულებების დასაფარად საანგარიშგებო თარიღის ბოლოსათვის.

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი: ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. გადასახადის გადამხდელების უმრავლესობას, მათ შორის ჯგუფიც, არ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში მოხვედრას. შესაბამისად, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპამიამ ანულირება გაუკეთა მისი ყველა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივს და ვალდებულებას.

### *2.15 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები*

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებულ მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

### *2.16 ურთიერთგადაფარვა*

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

### *2.17 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა*

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა, კომოპანიის ხელმძღვანელობა, ასევე, მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღირებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

**ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა.** ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი

ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

**საწარმოს უწყვეტობის პრინციპი.** 2019 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის მიერ მიღებულმა აკუმულირებულმა ზარალმა და ამ თარიღით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის ზარალმა ოპერირებიდან სხვა მოგების და ფინანსური მოგების გათვალისწინების გარეშე შეადგინა 78,299 და 3,683 შესაბამისად. კომპანიის მომავალი ფუნქციონირება სრულად დამოკიდებულია დამფუძნებლის მხრიდან დაფინანსებაზე, რაც გასულ პერიოდში უზრუნველყოფილი იყო სესხისა და კაპიტალური კონტრიბუციის სახით. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ, კომპანიის დამფუძნებელი მომავალშიც გააგრძელებს კომპანიის დაფინანსებას, რითაც შესაძლებელი იქნება მომავალში კომპანიის მომგებიანი ოპერირების დაწყება. ამ პირობების გათვალისწინებით, მენეჯმენტი თვლის, რომ „ფუნქციონირების უწყვეტობის" დაშვება მართებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

## 3. ძირითადი საშუალებები

| | მიწა და შენობა-ნაგებობა | ავეჯი და ინვენტარი | მანქანა-დანადგარები | სატრანსპორტო საშუალებები | დაუმთავრებელი შენობა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისტორიული ღირებულება | | | | | | |
| **31.12.2017** | **18,309** | **1,079** | **251** | **65** | **65,922** | **85,626** |
| შეძენა | - | 579 | 103 | - | 7,385 | **8,067** |
| რეკლასიფიკაცია | 55,102 | - | - | - | (55,102) | **-** |
| რეკლასიფიკაცია მარაგებში | - | - | - | - | (17,921) | **(17,921)** |
| **31.12.2018** | **73,411** | **1,658** | **354** | **65** | **284** | **75,772** |
| შეძენა | 282 | 29 | - | - | 6 | **317** |
| რეკლასიფიკაცია მარაგებში | - | - | - | - | (260) | **(260)** |
| **31.12.2019** | **73,693** | **1,687** | **354** | **65** | **30** | **75,829** |
| ცვეთა | | | | | | |
| **31.12.2017** | **-** | **298** | **150** | **6** | **-** | **454** |
| პერიოდის ცვეთა | 924 | 244 | 38 | 9 | - | 1,215 |
| **31.12.2018** | **924** | **542** | **188** | **15** | **-** | **1,669** |
| პერიოდის ცვეთა | 1,102 | 280 | 41 | 9 | - | 1,432 |
| **31.12.2019** | **2,026** | **822** | **229** | **24** | **-** | **3,101** |
| წმინდა საბალანსო ღირებულება | | | | | | |
| **31.12.2017** | **18,309** | **781** | **101** | **59** | **65,922** | **85,172** |
| **31.12.2018** | **72,487** | **1,116** | **166** | **50** | **284** | **74,103** |
| **31.12.2019** | **71,667** | **865** | **125** | **41** | **30** | **72,728** |

## 4. საინვესტიციო ქონება

| | მიწა და შენობა-ნაგებობა |
|---|---|
| **ისტორიული ღირებულება** | |
| **2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **5,909** |
| **2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **5,909** |
| **2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **5,909** |
| | |
| **ცვეთა:** | |
| **2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **440** |
| პერიოდის ცვეთა | 93 |
| **2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **533** |
| პერიოდის ცვეთა | 93 |
| **2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **626** |
| | |
| **წმინდა საბალანსო ღირებულება:** | |
| **2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **5,469** |
| **2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **5,376** |
| **2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **5,283** |

## 5. არამატერიალური აქტივები

| | პროგრამული უზრუნველყოფა |
|---|---|
| **ისტორიული ღირებულება** | |
| **2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **19** |
| შეძენა | 11 |
| **2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **30** |
| **2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **30** |
| | |
| **ცვეთა:** | |
| **2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **5** |
| პერიოდის ცვეთა | 7 |
| **2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **12** |
| პერიოდის ცვეთა | 9 |
| **2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **21** |
| | |
| **წმინდა საბალანსო ღირებულება:** | |
| **2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **14** |
| **2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **18** |
| **2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **9** |

## 6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

| | 31.12.2019 | 31.12.2018 |
|---|---|---|
| სასაქონლო მარაგები | 127 | 175 |
| საცხოვრებელი ფართები | 18,218 | 17,921 |
| **სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები** | **18,345** | **18,096** |

## 7. გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები

| | 31.12.2019 | 31.12.2018 |
|---|---|---|
| გადახდილი ავანსები | 24 | 177 |
| წინასწარ გადახდილი გადასახადები | 6,680 | 6,358 |
| **სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება** | **6,704** | **6,535** |

## 8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

| | 31.12.2019 | 31.12.2018 |
|---|---|---|
| ნაღდი ფული სალაროში | 25 | 30 |
| ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში | 82 | 191 |
| ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში | 2,331 | 2,070 |
| **სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები** | **2,438** | **2,291** |

## 9. მიმდინარე ნასესხები საშუალებები

| | 31.12.2019 | 31.12.2018 |
|---|---|---|
| სესხი დამფუძნებლისგან გადასახდელი ძირი | 182,028 | 169,603 |
| გადასახდელი პროცენტი | - | 129,908 |
| **სულ სესხები** | **182,028** | **299,511** |

სესხი დამფუძნებლისგან ნომინირებულია აშშ დოლარში. 2019 წლის 01 აგვისტომდე მისი ნომინალური და ეფექტური პროცენტის ოდენობა შეადგენდა 15 პროცენტს. სესხი წარმოადგენს რამდენიმე იდენტური ხელშეკრულების საფუძველზე გაცემულ სესხს, რომელთა ზოგადად დაფარვის ვადა ხელშეკრულებით განსაზღვრულია თითოეული ხელშეკრულების დადებიდან 15 წელი, თუმცა ყველა სესხის ხელშეკრულება შეიცავს მსესხებელის უფლებას მოთხოვნიდან სამი თვის ვადაში სესხის დაფარვასთან დაკავშირებით, რის გამოც სესხი ასახულია მოკლევადიანი სესხის სახით. 2019 წლის 01 აგვისტოს დამფუძნებელმა აპატია კომპანიას სესხზე დარიცხული პროცენტი და ამ თარიღიდან უარი განაცხადა სესხზე პროცენტის დარიცხვაზე, შესაბამისი მოგება აღიარებულია პერიოდის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

## 10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

| | 31.12.2019 | 31.12.2018 |
|---|---|---|
| სავაჭრო კრედიტორული დავალიანება | 313 | 250 |
| ძირითადი საშუალებების მშენებლობისა და შეძენის ფარგლებში მომწოდებელთან დავალიანება | 160 | 214 |
| **სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება** | **473** | **464** |

## 11. ანარიცხები

ანარიცხები შექმნილია ძირითადი საშუალებების, მშენებლობისა და შეძენის კუთხით, მომწოდებლებთან მოსალოდნელ დავებთან დაკავშირებული ზარალების დარეზერვების მიზნით.

## 12. შემოსავლები

| | 2019 წლისათვის | 2018 წლისათვის |
|---|---|---|
| მუზეუმიდან მიღებული შემოსავლები | 415 | 107 |
| სარესტორნო მომსახურების შედეგად მიღებული შემოსავლები | 2,029 | 1,680 |
| ფიტნესიდან და ბასეინიდან დაკავშირებული შემოსავლები | 755 | 583 |
| პარკინგიდან მიღებული შემოსავლები | 30 | 30 |
| **სულ შემოსავლები** | **3,229** | **2,400** |

## 13. ფინანსური ხარჯი

| | 2019 წლისათვის | 2018 წლისათვის |
|---|---|---|
| ზარალი საკურსო სხვაობიდან (ნეტო) | (21,240) | (8,668) |
| საპროცენტო ხარჯი | (15,906) | (25,163) |
| სესხის პროცენტის პატიება | 155,089 | - |
| **სულ ფინანსური ხარჯი** | **117,943** | **(33,831)** |

## 14. სხვა მოგება (ნეტო)

| | 2019 წლისათვის | 2018 წლისათვის |
|---|---|---|
| ანარიცხების ხარჯი | (2,246) | - |
| საგადასახადო შემოწმების შედეგად აქტით დარიცხული საგადასახადო აქტივი | 1,997 | - |
| იჯარიდან მიღებული შემოსავლები | 390 | 255 |
| შემოსავალი ინვენტარიზაციის ზედმეტობიდან | 48 | 32 |
| შემოსავალი უსასყიდლო მოწოდებიდან | - | 68 |
| სხვა შემოსავალი | 10 | 20 |
| **სულ სხვა მოგება (ნეტო)** | **199** | **375** |

## 15. ფინანსური ინსტრუმენტები

| | 31.12.2019 | 31.12.2018 |
|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | |
| ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები | 2,497 | 2,315 |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | |
| ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები | 182,501 | 299,975 |

## 16. გაუთვალისწინებელი მოვლენები და პირობითი ვალდებულებები

***სამართლებრივი პროცედურები.*** საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შეტანილია და შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარ შეფასებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ გარდა იმ თანხებისა რომელზედაც შექმნილია ანარიცხი, კომპანიას მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგება.

***საგადასახადო კანონმდებლობა.*** საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

## 17. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის კომპანიას დამფუძნებელთან, დირექტორებთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

| | დამფუძნებელი | სხვა დაკავშირებული მხარეები | მენეჯმენტი |
|---|---|---|---|
| სესხის და პროცენტების ნაშთი | 182,028 | - | - |
| სესხზე დარიცხული პროცენტები წლის განმავლობაში | 15,906 | - | - |
| რეალიზაცია | 38 | 342 | - |
| შესყიდვები | - | 55 | - |
| კრედიტორული დავალიანება | - | 48 | - |
| მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (ხარჯი) | - | - | 118 |

2018 წლის 31 დეკემბრისთვის და დასრულებული წლისათვის კომპანიას დამფუძნებელთან, დირექტორებთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ბალანსები:

| | დამფუძნებელი | სხვა დაკავშირებული მხარეები | მენეჯმენტი |
|---|---|---|---|
| სესხის და პროცენტების ნაშთი | 299,511 | - | - |
| სესხზე დარიცხული პროცენტები წლის განმავლობაში | 25,163 | - | - |
| რეალიზაცია | - | 298 | - |
| შესყიდვები | - | 208 | - |
| კრედიტორული დავალიანება | - | 38 | - |
| მოკლევადიანი სარგებელი – ხელფასები დირექტორატი (ხარჯი) | - | - | 228 |

## 18. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

**COVID-19-ის პანდემიის გავლენა.** 2020 წლის 11 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) COVID-19 კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. პირველი შემთხვევა საქართველოში, ოფიციალურად, 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა. ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომების ნაწილის სახით, საქართველოს მთავრობამ სხვადასხვა დროს დააწესა სხვადასხვა სახის შეზღუდვები. კომპანიის მიმდინარე ოპერირების, საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე დაყრდნობით, კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელის ეკონომიკურ გარემოზე პანდემიის ზემოქმედების გამო მის მოკლევადიან ფინანსურ მდგომარეობაზე და ოპერირების შედეგებზე მნიშვნელოვან ნეგატიურ ეფექტს, თუმცა არ გამორიცხავს პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების პერიოდის გაგრძელების, შეზღუდვების მასშტაბის გაფართოების შედეგად მნიშვნელოვან უარყოფით შედეგებს საშუალო და გრძელვადიანი პერიოდისათვის. კომპანია ოპერატიულად აანალიზებს ამ შესაძლო ნეგატიურ სცენარებს და მზადაა საოპერაციო გეგმების მოდიფიკაციისთვის.

**სასამართლო დავები.** 2020 წელს კომპანიის წინაარმდეგ აღიძრა რამოდენიმე სასამართლო საქმე მისი მომწოდებლების, მუნიციპალიტეტის და სხვა მხარის მიერ. ჯამურ სარჩელზე მოთხოვნა შეადგენს 5,599 მილიონ ლარს. ამ დავებთან დაკავშირებით კომპანიას შექმნილი აქვს ანარიცხები 2019 წლის 31 დეკემბრისათვის.

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 21 დეკემბერს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს „მაგთი“-ს

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

მმართველობითი ანგარიშგება/საქმიანობის მიმოხილვა

## მმართველობითი ანგარიში

1. კომპანია და მისი დამფუძნებლები

შპს „მაგთი" (კომპანია) დაარსდა 1995 წლის 27 ივნისს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, (საიდენტიფიკაციო კოდი: 204873645). კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: სამუზეუმო, სარესტორნო და სპორტულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობა. კომპანიის ბალანსზე ირიცხება 2 შენობა-ნაგებობა, რუსთაველის გამზირი,გუდიაშვილის ქ #18-ში და აღმაშენებლის გამზ. #152-ში. აქედან გუდიაშვილის #18-ში მდებარე შენობაშია განთავსებული მუზეუმი, საკონფერენციო ოთახი, რესტორნები და სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, ხოლო აღმაშენებლის გამზ. #152-ში მდებარე შენობაში არსებული ფართის ნაწილი იჯარით აქვს გადაცემული შპს ნეოსტუდიაზე.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, დ.აღმაშენებლის გამზირი,№152 .

2019 წლის 1 იანვრისათვის და 31 დეკემბრისათვის კომპანიის წილის ერთადერთ მფლობელს წარმოადგენს: ბატონი გია ჯოხთაბერიძე (პირადი ნომერი: 01008003521).

კომპანიის საქმიანობის დეტალები მოცემულია ქვევით:

2. შემოსავლები

| | 2019 წლისათვის | 2018 წლისათვის |
|---|---|---|
| მუზეუმიდან მიღებული შემოსავლები | 415 | 107 |
| სარესტორნო მომსახურების შედეგად მიღებული შემოსავლები | 2,029 | 1,680 |
| ფიტნესიდან და ბასეინიდან დაკავშირებული შემოსავლები | 755 | 583 |
| პარკინგიდან მიღებული შემოსავლები | 30 | 30 |
| **სულ შემოსავლები** | **3,229** | **2,400** |

3. ძირითადი საწარმოო სიმძლავრეები

ძირითადი საწარმოო სიმძლავრეები განთავსებულია ორ უძრავ ქონების ობიექტზე თბილისში. მათი ფინანსური დეტალები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 3-სა და 4-ში.

4. საქმიანობის განვითარების გეგმები

საწარმოს ამ ეტაპზე არ გააჩნია არსებული ოპერირების გარდა სხვა საქმიანობის განვითარების გეგმები.

5. დასაქმებულთა რაოდენობა

საწარმოში დასაქმებულია 140 თანამშრომელი.

6. გარემოს დაცვის საკითხებზე თუ რამე ტიპის ზეგავლენას ახდენს კომპანია და ჩატარებული აქვს რამე სახის კვლევა

ასეთი სახის კვლევა საწარმოში არ ჩატარებულა.

7. ფინანსური რისკების გარდა კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავი ანალიზი

ფინანსური რისკების ანალიზი კომპანიაში არ ჩატარებულა.

8. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას ფილიალები არ აქვს.

9. რისკების მართვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური რისკები დაკავშირებული აქვს მის მიერ აღებულ დამფუძნებლის სესხთან. ამ ფაქტის გამო, მას არ ჩაუტარებია ფინანსური რისკების ანალიზი.

10. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

კომპანიაში საკუთარი აქციების შესყიდვას ადგილი არ ჰქონია.

### 11. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა

კომპანიას კვლევები არ უწარმოებია.

### 12. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა-განმარტებები

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მენეჯმეტი თვლის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ სჭირდება დამატებითი ახსნა-განმარტებები.

2019 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ 2020 წლის 21 დეკემბერს.

ბნ. კახაბერ ვეფხვაძე გენერალური დირექტორი

**11. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი მიმოხილვა**

კომპანიას კვლევები არ უწარმოებია.

**12. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა-განმარტებები**

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ სჭირდება დამატებითი ახსნა-განმარტებები.

2019 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ 2020 წლის 21 დეკემბერს.

ბნ. კახაბერ ვეფხვაძე გენერალური დირექტორი

**About Baker Tilly**
Baker Tilly is a full-service accounting and advisory firm that offers industry specialised services in assurance, tax and advisory.

Baker Tilly Georgia LLC trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.

bakertilly

**Contact us**
Baker Tilly Georgia LLC
BC Menteshev Rows
Tbilisi 0105, Georgia
7 Bambis Rigi Street
office@bakertilly.ge
T: +995 032 2 483 999
**www.bakertilly.ge**